ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა.

ქ.ამბროლაური *2026 წლის 03 აპრილი*

ოქმი N 1

სხდომას ესწრებოდნენ: ამბოლაურის მუნიციპალიტეტის **მერი - ზაზა ქევანიშვილი.**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- **თამარ ქევანაშვილი.**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - **ირმა ფრუიძე.**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი- **ბეჟან კობახიძე.**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო დაკომპლექტდა 12 წევრით. ახალი შემადგენლობიდან სხდომას ესწრებოდა **10 წევრი:**

1. გურამ დავითულიანი - ქალაქ ამბროლაურის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი ,

2. გაიოზ ჯაფარიძე -ამბროლაურის მუნიციპალიტეტის იწის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი,

3. ელისო ტყეშელაშვილი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხვანჭკარის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი ,

4. თეკლა მაჭავარიანი – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ნიკორწმინდის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი ,

5. ირინა კერესელიძე – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სადმელის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი ,

6. ვერა მელაშვილი -ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხიდიკრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი ,

7.მარიამ ჩალაძე -ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ლიხეთის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი ,

8.ბესარიონი მურუსიძე - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ზნაკვის ადმინიტრაციული ერთეულის წარმომადგენელი ,

9.სოსო ცხვედიანი - შპს „გეოფლაუერი"-ს წარმომადგენელი ,

10.თამარ ფრუიძე -შპს „ბარაკონი"-ს წარმომადგენელი.

დღის წესრიგი:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა მერის უფლებამოსილების ვადით.
2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა.
3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის განხილვა.
4. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა-"ის ფარგლებში 2026 წელს განსახორციელებელი პროექტების თაობაზე ინფორმაციის გაცნობა .
5. სხვადასხვა.

სხდომა მოწვეულ იქნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ზაზა ქევანიშვილის მიერ, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და იმ ენთუზიაზმისთვის, რაც მათ გააჩნიათ , რადგან საბჭოს მუშაობა არ ანაზღაურდება, აღნიშნა რომ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ გამოხატულება მზრუნველობის და სიყვარულის საკუთარი კუთხის მიმართ, მერმა ისაუბრა მრჩეველთა საბჭოს ფუნქციაზე და მიზანზე, გამოთქვა იმედი, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო აქტიურად იქნება ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში . მოუწოდა საბჭოს წევრებს დასვან საკითხები ,რაც მათ თემში პრიორიტეტულია და პრობლემატური, ისაუბრონ გადაჭრის გზებზე, მნიშვნელოვანია მოისმინოს მათი შეხედულებები ,წინადადებები ,მოხდეს კომუნიკაციის დამყარება მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტს შორის, მზად არის მათთან ერთად სამომავლო მიზნები და გეგმები დასახოს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა ფრუიძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია და გააცნო მერის ბრძანება მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალი დაკომპლექტებული წევრებისა და საბჭოს დებულების თაობაზე. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. მრჩეველთა საბჭოს მიზანია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობით, ეფექტური მმართველობის განხორციელება.

საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი. საბჭოს თავმჯდომარეს და მოადგილეს საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრეთა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, საბჭოს უფლებამოსილების ვადით ირჩევს საბჭო. ხოლო მდივანი რომელიც არ არის საბჭოს წევრი, ინიშნება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთაგან. მდივანი ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომის მოწვევას; უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის ოქმის შედგენას და გაფორმებას; უზრუნველყოფს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დასკვნის შედგენას და გაფორმებას; ასევე ახორციელებს სხვა ორგანიზაციულ ფუნქციებს.

საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნის საქმიანობა არ ანაზღაურდება. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.

საბჭო იქმნება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების ვადით. მერი უფლებამოსილია თავად დააკომპლექტოს საბჭოს შემადგენლობა ან/და გამოაცხადოს საბჭოს წევრობაზე განცხადებების მიღება დებულების შესაბამისად.

2026 წლის 20 იანვრიდან დაიწყო განცხადებების მიღება **ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობაზე** . საბჭოს წევრობის კანდიდატს უფლება ჰქონდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერისათვის საბჭოს წევრად რეგისტრაციის შესახებ განცხადებით მოემართა ბრძანების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მერმა საბჭოს შემადგენლობა დაამტკიცა 12 წევრისაგან რომელთა შემადგენლობაშიც შედიან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები და ორგანიზაციული ნიშნით წარდგენილი პირები. ირმა ფრუიძემ წარადგინა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ყველა წევრი .
თითოეულმა საბჭოს წევრმა ისაუბრა და თავი გააცნო საბჭოს შემადგენლობას, ძველმა წევრებმა ისაუბრეს იმ გამოცდილებაზე, რაც ამ საბჭომ შესძინათ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა- მერმა მოუწოდა საბჭოს წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით დაესახელებინათ თავმჯდომარის კანდიდატურა, რომელიც მერის უფლებამოსილების ვადით უხელმძღვანელებს საბჭოს.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების შესაბამისად კანდიდატის დასახელების უფლება აქვს 3 წევრს, შესაბამისად საჭიროა ასარჩევი კანდიდატის დასახელება .

საბჭოს წევრებმა მარიამ ჩალაძემ, გურამ დავითულიანმა და თამარ ფრუიძემ დაასახელეს ირინა კერესელიძის კანდიდატურა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა **ირინა კერესელიძე.**

მომხრე - 9 , წინააღმდეგი - 0

რაც შეეხება **დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს** თავმჯდომარის მოადგილის არჩევასთან დაკავშირებით, რადგან სხდომაზე აზრთა სხვადასხვაობის გამო ვერ გადაწყდა მოადგილის არჩევა ,შესაბამისად მოადგილის არჩევა გადაიდო მომდევნო სხდომამდე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი - 2026 წლის ბიუჯეტის განხილვა - საფინანსო სამსახურის უფროსმა ბეჟან კობახიძემ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხზე, მან საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო დაგეგმილი ბიუჯეტი და აღნიშნა, რომ გრძელდება ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, ინფრასტრუქტურის სფეროში მიმდინარე პროგრამები, რამაც უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვა და ეკონომიური კეთილდღეობა .

ბეჟან კობახიძემ აღნიშნა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.
საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2026 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია

5.0 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა, რომელიც შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებს.

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. 2026 წლის პროგნოზით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 15 409,0 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გაიზრდება 1042,4 ათასი ლარით (7%-ით).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საწყის ეტაპზე შეადგენდა **19 361.3** ათას ლარს (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაიზარდა 3299.8 ათასი ლარით). აღნიშნული გამოწვეულია საგადასახადო შემოსავლების ზრდით და გრანტების გეგმის ზრდით.

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა რომელიც გამომდინარეობს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 600 ლარის ოდენობით ნაცვლად 1460 ლარისა.

2026 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 3010,0 ათასი ლარი; მათ შორის:**
- ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 597,0 ათასი ლარი;
- ✓ **წყლის სისტემების** განვითარება -852,0 ათასი ლარი;
- ✓ **გარე განათება - 749,0 ათასი ლარი;**
- ✓ **კეთილმოწყობის ღონისძიებები** - 50,0 ათასი ლარი;
- ✓ **სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია** - 20,0 ათასი ლარი;
- ✓ **რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება** ხარჯები განსაზღვრილია 420,0 ათასი ლარი.
- ✓ **სატრანსპორტო მომსახურება** - 312,0 ათასი ლარი. პროგრამიდან ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1755,6 ათასი ლარი;**

- **განათლება - 2746,0 ათასი ლარი.**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4247,0 ათასი ლარი მათ შორის:**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1500,6 ათასი ლარი, მათ შორის:**

- **მმართველობა - 6102,1ათასი ლარი, მათ შორის:**

ოქმს თან ერთვის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა ირმა ფრუიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი და დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია 2026 წელს „სოფლის მარდაჭერის პროგრამა"-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე. საბჭოს წევრებს გააცნო თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ჩამონათვალი და მათი შერჩევის პროცედურები.

საბჭოს წევრებს გააცნო რომ, 2026 წლის 14 აპრილიდან იწყება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"- **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულია დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500- ზე მეტ ამომრჩეველს გაიმართება ამომრჩევლებთან კონსულტაციები** აღსანიშნავია, რომ დასახლების საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20 % -ისა. პროექტებს სოფლის მოსახლეობა ხმათა უმრავლესობით შეარჩევს.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებისთვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების, მათი ეფექტურად გამოყენების გზებისა და პროექტების შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე ირმა ფრუიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები"-ს საფუძველზე, დადგენილების მეორე მუხლის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის თანახმად დასახლებას არ გააჩნია რეგისტრირებული მოსახლეობა, ხოლო ფაქტობრივი მონაცემებით დასტურდება დასახლებაში მოსახლეობის ცხოვრების ფაქტი, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი უზრუნველყოფს ამ დასახლებაში დასახლების საერთო კრების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების ჩატარების ორგანიზებასა და დასახლების საერთო კრების ოქმის/რეგისტრირებულ ამომრჩეველთან კონსულტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების, დასახლებაში არსებული მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, სამინისტროსათვის წარდგენას, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გამოყოფილი თანხის გაანგარიშება ემყარება შემდეგ პრინციპს:

ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;

ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;

გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16 000 ლარი;

დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N85 განკარგულების საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტს 2026 წელს გამოეყო თანხა 734 000 ლარის ოდენობით.

თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა ოქმს თან ერთვის №1 დანართის შესაბამისად.

აზრი გამოთქვა: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის **მოადგილემ თამარ ქევანაშვილმა**, რომელმაც საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის, ისაუბრა ძველ გამოცდილებაზე და აღნიშნა , რომ ძველი საბჭოს შემადგენლობის დროს საბჭოს წევრი ბესიკ ბაქრაძე გამოვიდა ინიციატივით ქ. ამბროლაურში ვეტერანთა მემორიალური დაფის მოწყობის თაობაზე ,მან შემოიტანა ვეტერანთა სახელით შესაბამისი მოთხოვნა მერის სახელზე, ადგილი შეირჩა კოსტავას ქუჩაზე , თიბისი ბანკის გვერდით მიმდებარე სკვერში , მართალია გარკვეული დრო დასჭირდა ამ საკითხის მოგვარებას, თუმცა საბოლოოდ გაკეთდა და მოეწყო. თამარ ქევანაშვილმა ისურვა ,რომ მეტი აქტიურობა და ჩართულობა იყოს მათი მხრიდან , გამოვიდნენ ინიციატივით შესთავაზონ მუნიციპალიტეტს იდეები , დაასახელონ საკითხები , რაც აწუხებთ და პრობლემების მოგვარების მიზნით შესაბამისი რეაგირება განხორციელდება .მან ისაუბრა იმ სიახლეებზე, რომელიც დაგეგმილია , იწყება კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია, ისაუბრა ჭრებალოს, ნიკორწმინდის, ჭელიაღელისა და წესის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების /საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე , ასევე ორი ახალი სკვერის რეაბილიტაციაზე , საბჭოს წევრებს მოუწოდა თუ სურვილი ექნებათ შეხვედრები დაგეგმონ საკითხების მიხედვით , შეუძლიათ სამსახურის ხელმძღვანელების დასწრება მოითხოვონ და სამსახურების მიხედვით გაეცნონ დეტალურად საქმიანობას.

თამარ ქევანაშვილმა საბჭოს ახალ წევრებს გააცნო რომ საბჭო უფლებამოსილია: წელიწადში ერთხელ განიხილოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია;

საბჭო უფლებამოსილია ასევე მოამზადონ, განიხილონ და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინონ წინადადებები მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და მათი მოგვარების შესაძლო გზების შესახებ;

მონაწილეობა მიიღონ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში;

სხდომაზე მოიწვიონ და მოუსმინონ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელებს;

მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტის მომზადების პროცესში და განიხილონ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოსთვის მის წარდგენამდე;

განიხილონ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტების პროექტები;

განიხილონ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები;

განიხილონ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;

განიხილონ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე **მოაწყონ დისკუსიები და საზოგადოებრივი განხილვები;**

აზრი გამოთქვა: გურამ დავითულიანმა ისაუბრა იმ პრობლემატურ საკითხზე ,რომელიც დგას ჩვენს მუნიციპალიტეტში , აღნიშნა ,რომ რაჭაში მწვავედ დგას შობადობის საკითხი , ბოლო წლების სტატისტიკა არცთუისე სახარბიელოა და ისურვა , რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან მოხდეს მეტი წახალისება ოჯახების .

აზრი გამოთქვა: სოსო ცხვერდიანმა აღნიშნა, რომ შობადობის მაჩვენებელი , რომ გაიზარდოს სასურველია ,მოხდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსება , როგორც მშობიარის , ასევე უშვილო ოჯახებზე.

აზრი გამოთქვა: ბესარიონ მურუსიძე შეეხო რაჭაში ყველაზე პრობლემატურ საკითხს ,მიგრაცია , აღნიშნა, რომ ახალგაზრდებისთვის და ოჯახებისთვის ყველა პირობა უნდა შეიქმნას ,რომ ამ კუთხეში დარჩნენ , ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ დატოვა რაიონი და აღარ დაბრუნდა , გაიხსენა , როდესაც საკრებულოს წევრი იყო , დაფინანსება ხდებოდა რაჭველი სტუდენტების, ოღონდ იმ პირობით თუ რაიონს დაუბრუნდებოდნენ .

აზრი გამოთქვა: მარიამ ჩალაძემ ყურადღება გაამახვილა სოფელ ურავში საბავშვო ატრაქციონების არქონაზე და აღნიშნა , რომ საკმაოდ ბევრი ბავშვები ცხოვრობენ სოფელში ,რომლებსაც უწევთ ლიხეთში ჩასვლა , გამოვიდა ინიციატივით ,რომ მოხდეს სკვერის გაკეთება , თუ შესაძლებელია იქნება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პრიორიტეტებიდან მხარი დაეჭიროს სკვერის გაკეთებას

.

დაადგინეს: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭო აქტიურად ჩაერთოს მუნიციპალიტეტში არსებული ყველა პროექტში. მორიგი სხდომა გაიმართოს მომდევნო მე-3 თვეს დამატებით თარიღი წევრებს მდივნის მიერ ეცნობება სატელეფონო შეტყობინებით. საბჭოს სხდომა შესაძლებელია მოწვეულ

იქნას ნებისმიერ დროს საბჭოს თავმჯდომარის საკუთარი ან საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით .

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საბჭოს თავჯდომარე ირინა კერესელიძე / /

სხდომის მდივანი ეკატერინე კაციტაძე / /